

შპს “ქალამანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7
1. კორპორატიული ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	12
8. საინვესტიციო ქონება	13
9. ფული და ფულის ექვივალენტები	13

შპს „ქალამანი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022(არა უდიტირებული)	2021(არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	5 435 704	3 508 729
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2 950 130)	(2 212 109)
მთლიანი მოგება		2 485 574	1 296 620
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1 526 399)	(1 093 875)
		140 662	92 888
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	7		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		(7 208)	(22 460)
მოგება გადასახადის გადახდამდე		1 092 629	273 173
მოგების გადასახადი		35 844	20 954
წმინდა მოგება/(ზარალი)		1 056 785	252 219

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი:

ამირან ავალიანი



შპს „ქალამანი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022(არა აუდიტირებული)	31 დეკემბერი 2021(არა აუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	61 451	59 631
არამატერიალური აქტივები		-	-
ინვესტიციების ხვასაწარმოთაწილობრივი		-	-
ივინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		61 451	59 631
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	448 008	87 069
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		14 815	22 513
მარაგები		1 375 964	1 188 448
გადახდილი ავანსები და დარიცხული		115 132	88 657
მისაღები შემოსავალი		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		1 953 919	1 386 687
სულ აქტივები		2 015 370	1 446 318
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1 182 134	328 368
სხვა რეზერვები		-	-
სულ კაპიტალი		1 182 134	328 368
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		686 663	993 139
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		68	6 672
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		686 731	999 811
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		65 709	54 136
საგადასახადო ვალდებულებები		77 221	47 696
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		3 575	16 307
სულ მიმდინარე ვალდებულებები		146 505	118 139
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2 015 370	1 446 318

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს:

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

შპს „ქალამანი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	კაპიტალის საწყისი ნაშთი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
(არააუდიტირებული)			
ნაშთი 01 იანვარი 2021	-	178 388	178 388
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	149 980	149 980
გადახდილი დივიდენდი	-	102 239	102 239
ნაშთი 01 იანვარი 2022	-	328 368	328 368
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	853 766	853 766
გადახდილი დივიდენდი	-	203 019	203 019
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	1 182 134	1 182 134

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი
ამირან ავალიანი

შპს „ქალამანი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	706 679
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(322 395)
წმინდა სრდა/კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	384 284
სავალუტო რისკის ეფექტი	(23 345)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	87 069
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	448 008

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს:

კორპორატიული ინფორმაცია

შპს ქალამანი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2011 წლის 31 იანვარს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404885914

ძირითადი საქმიანობა. შპს „ქალამანი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლის: ფეხსაცმლის, ჩანთების, ფეხსაცმლის მოვლის საშუალებების საცალო ვაჭრობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, რაზმაძის ქ. N33 .

კომპანიის მეწილეები: კომპანია დაფუძნებულია სამი ფიზიკური პირის მიერ:

01024003649, ეკატერინე ბაკურაძე 33,33000000%

01024034524, მაია კობახიძე 33,33000000%

01036000486, ხათუნა ჯინჭარაძე 33,33000000%

01024003649, ეკატერინე ბაკურაძე; 01024034524, მაია კობახიძე; 01036000486, ხათუნა ჯინჭარაძე 0,01000000%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის 100%-იან წილს ფლობენ ფიზიკური პირები შემდეგი წილობრივი განაკვეთით:

01024003649, ეკატერინე ბაკურაძე 23%

01024034524, მაია კობახიძე 54%

01008044508, ამირან ავალიანი 23%

ინვესტიციები: კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო და კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა არევალება.

1. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესაბამის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის

მდგომარეობით, 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდი თვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა სადასხვა განმარტებით ინფორმაცია.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ქალამანი“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული პროსდუქციის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	5-15
მანქანა-დანადგარები	10-50
ოფისის აღჭურვილობა	2-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გთვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად მანქანა დანადგარების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო მასალები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებას, ეს იქნება ძირითადი საშუალება თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯი. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით,

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო ვალები. სავაჭრო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციებითითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც

შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდილია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებები რისკის მატარებელია.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი

შპს „ქალამანი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულსაკითხებზე.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს საქონლის რეალიზაცია.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	504 396	376 208
იჯარის ხარჯი	481 320	337 762
ცვეთა და ამორტიზაცია	12 296	9 606
რეკლამის ხარჯი	144 316	67 841
სამეურნეო ხარჯი	10 103	6 321
საკანცელარიო ხარჯი	2 658	2 361
საოფისე ხარჯი	7 755	7 936
მივლინების ხარჯი	34 881	14 862
ბანკის მომსახურების ხარჯი	80 357	58 994
კომუნიკაციის ხარჯი	7 666	6 794
კომუნალური ხარჯები	85 831	64 404
საპროცენტო ხარჯები	138 848	117 208
სხვა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	15 972	23 577
ჯამი	1 526 399	1 093 875

6. მოგება/ ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2022	2021
დადებითი საკურსო სხვაობა	183 420	121 332
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(42 759)	(28 444)
ჯამი	140 660	92 888

შპს „ქალამანი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ცხრილებში მოცემული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

7. საინვესტიციო ქონება

	მანქანა დანადგარები	შენობები- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	ჯამი
ნაშთი 01-01-2022	-	-	-	97 577	97 577
დამატება	-	-	-	12 828	12 828
ნაშთი 31-12-2022	-	-	-	110 405	110 405
ცვეთა					
ნაშთი 01-01-2022	-	-	-	(37 946)	(37 946)
წლის დარიცხვა	-	-	-	(11 008)	(11 008)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2022 წელი	-	-	-	(48 954)	(48 954)
საბალანსო ღირებულება 31 დეკ. 2022 წელი	-	-	-	61 451	61 451

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022	2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6 079	6 125
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	435 898	80 399
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6 032	544
ჯამი	448 009	87 068

დირექტორი

ამირან ავალიანი

